აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება

ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ.ბათუმი

13/03/2020 N 53

ბრძანება ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად მის წინააღმდეგ ერთიანი ღონისძიებების განხორციელების მიზნით, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 8 ივლისის №13 დადგენილებით დამტკიცებული ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სამსახურში არ გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება- ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ის სახელმწიფო მოსამსახურე და საჯარო მოსამსახურე:

ა) რომელიც ბრძანების ძალაში შესვლამდე ბოლო 7 კალენდარული დღის განმავლობაში იმყოფებოდა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ იდენტიფიცირებულ ახალი კორონავირუსის მაღალი გავრცელების ქვეყანაში, – საქართველოში დაბრუნებიდან 2 კვირის განმავლობაში;

ბ) რომელიც ბრძანების ძალაში შესვლის შემდეგ დაბრუნდება ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ქვეყნიდან, – საქართველოში დაბრუნებიდან 2 კვირის განმავლობაში;

გ) რომელსაც კონტაქტი ჰქონდა ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ქვეყნიდან ჩამოსულ პირთან ან მასთან ერთად მცხოვრებ პირთან;

დ) რომელსაც კონტაქტი ჰქონდა იმ პირთან, რომელსაც დაუდასტურდა ახალი კორონავირუსი;

ე) რომელსაც აქვს ქრონიკული დაავადება/რაიმე სახის იმუნოდეფიციტი, – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება- ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან შეთანხმებით;

ვ) რომელიც არის ორსული ქალი.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულმა პირმა:

ა) ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული 2-კვირიანი პერიოდი გაატაროს თვითიზოლაციის წესების დაცვით;

ბ) სამსახურში გამოუცხადებლობის მიზეზისა და რისკჯგუფში შემავალ პირთან კონტაქტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება- ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, აგრეთვე აცნობოს დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს(თ.კაიკაციშვილი) ან/და ადმინისტრაციულ სამსახურს და გადავიდეს თვითიზოლაციის რეჟიმში.

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულმა პირმა იმავე პუნქტის „გ“

ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მიუთითოს შესაბამისი პირის ვინაობა და წარმოადგინოს მგზავრობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

4. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულმა პირმა შესაძლებლობის შემთხვევაში სამუშაო შეასრულოს დისტანციურად, უშუალო ხელმძღვანელის მიერ გაცემული დავალებების შესაბამისად. ამასთან, სამსახურში არ ყოფნის პერიოდში, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყონ სატელეფონო კომუნიკაცია უშუალო ხელმძღვა- ნელთან.

5. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება- ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის შენობაში მყოფ ყველა პირს, დაიცვას ჯანმრთელობის დაცვის სამსახურების მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჰიგიენის წესები.

6. შეიზღუდოს სამსახურებრივი მივლინებები, გარდა გადაუდებელი შემთხვევებისა.

7. სახელმწიფო მოსამსახურემ და საჯარო მოსამსახურემ მწვავე რესპირაციული დაავადების სიმპტომის არსებობის შემთხვევაში მიმართოს ექიმს, აგრეთვე აცნობოს დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს(თ.კაიკაციშვილი) ან/და ადმინისტრაციულ სამსახურს, თუ საჭიროა თვითიზოლაციის რეჟიმში გადასვლა.

8. ეპიდემიური საფრთხის შემცირებამდე:

ა) შეიზღუდოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ადმინისტრაციულ შენობაში თემატური საჯარო ღონისძიებების ორგანიზება გარეშე პირთა მონაწილეობით;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება- ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა, დეპარტამენტის დაცვის თანამშრომლებთან კოორდინაციით უზრუნველყოს გარეშე პირთა დაშვებისა და გადაადგილების რეგულირება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება- ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ადმინისტრაციულ შენობაში;

გ) ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ეთხოვით, რომ მათ მიერ განცხადებებისა და სხვა დოკუმენტაციის წარმოდგენა განახორციელონ ელექტრონული ფორმით, ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის (info@gobatumi.ge) ან/და დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ელექტრონული ფოსტის tamar.kaikatsishvili@gmail.com მეშვეობით.

9. ბრძანების მიზნებიდან გამომდინარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება- ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სხვა საჯარო მოსამსახურემ, რომელიც არ წარმოადგენს ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირს, სამსახურში გამოუცხადებლობა და შესაძლებლობის შემთხვევაში სამუშაოს დისტანციურად შესრულება, შესაბამისი განრიგის მიხედვით, უნდა შეუთანხმოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება- ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს (თ. კაიკაციშვილი) ან/და ადმინისტრაციული სამსახურს.

10. ამ ბრძანების პირველი და მე-9 პუნქტით განსაზღვრულ პირებს შეუნარჩუნდეს შრომის ანაზღაურება.

11. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება- ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს (თ.კაიკაციშვილი) და ადმინისტრაციულ სამსახურს,ამ უკანასკნელმა ასევე უზრუნველყოს:

ა) ბრძანების გაცნობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება- ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სახელმწიფო და საჯარო მოსამსახურეებისათვის;

ბ) წინამდებარე ბრძანების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნება.

12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

13. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

თინათინ ზოიძე

დეპარტამენტის თავმჯდომარე